ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა "კ"

ბრძანება:**ბ44. 442326821**

თარიღი:**25/09/2023**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევი

კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე." ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 84^1 და 84^2 მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცებისა და სტაჟირების მსურველ პირთა შემფასებელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 07 ივნისის N:ბ44. 44231586 ბრძანების საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სტაჟიორის შესარჩევი კონკურსი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

ა. სოციალურ საკითხთა სამსახურში-2/ორი/ერთეული;

ბ. მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში-2/ ორი/ ერთეული;

გ. სამხედრო სამსახურში-2/ორი/ერთეული;

დ. ადმინისტრაციულ სამსახურში 4/ოთხი/ერთეული;აქედან:

· ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებაში-1/ერთი/ ერთეული;

· სერვისების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებაში-1/ერთი/ერთეული;

· საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილებაში-1/ ერთი/ერთეული;

· იურიდიულ განყოფილებაში-1/ერთი/ერთეული.

ე. ეკონომიკური განვითარების,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურში-2/ორი/ერთეული;

ვ. კულტურის,სპორტის,განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურში-1 /ერთი/ერთეული;

ზ. სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში-2/ორი/ერთეული.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მე-2 ან მე-3 საფეხურზე ან/და დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საფეხური, ასევე არის პროფესიული სტუდენტი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟიორად არ მიიღება პირი, თუ:

ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;

ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;

გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟირების მსურველი პირის შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველ პირს სტაჟირების კონკურსებში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროთ 10 /ათი/ კალენდარული დღე.

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 4(ოთხი) თვეს.

9. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

12. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი